HEIDELBERGCEMENT

## Letter for short-listed bidders

`

File No. :
Date : 17.10.2024
**Due Date : 25.10.2024**

**ფასთა გამოკითხვა „ქართული ცემენტის" რუსთავის ცემენტის ქარხანაში სამანქანე სასწორის ფუნდამენტების მოწყობა**

Dear Sir/Madam

ჰაიდელბერგცემენტი გეგმავს რუსთავის ცემენტის საწარმოში სამანქანე სასწორის მოწყობას. ამ ფასთა გამოკითხვის საგანს წარმოადგენს, სარკინიგზო სასწორის რკინა-ბეტონის ფუნდამენტის მოწყობა.

ჰაიდელბერგ ცემენტის ჯგუფი არის ერთერთი ლიდერი კომპანია მსოფლიოში ცემენტისა და ბეტონის ბაზარზე და საქართველოში წარმოადგენს ცემენტისა და ბეტონის ყველაზე მსხილ მწარმოებელს. მსოფლიოს მაშტაბით კომპანიას ყავს 60,000 დასაქმებული 60-ზე მეტ ქვეყანაში.

მეტი ინფორმაცია ჰაიდელბერგცემენტის ჯგუფის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე/ლინკზე: www.heidelbergcement.com.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ მოხარული ვართ გაცნობოთ რომ თქვენი კომპანია შერჩეულია როგორც პოტენციური შემსრულებელი ამ სამუშაოების და გიწვევთ მონაწილეობა მიიღოთ ფასთა გამოკითხვაში.

შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა შემდეგია:

- ნიადაგის ეკსკავაციის სამუშაოები
- ქვაბულის ძირის დატკეპნა და საფუძვლის მომზადება ღორღით -იხ. ნახაზი
- ფუნდამენტის არმირების და ქარგილის მოწყობა -იხ. ნახაზი
- ბეტონირება (დამიწების კონტურის მოწყობა)- იხ. ნახაზი
- ფუნდამენტის ჰიდროსაიზოლაციო ფენით დამუშავება
- სასწორის ზედა მხარეს წყალამრიდის მოწობა
- სასწორიდან სადრენაჟე არხის მოწყობა

შემსრულებელმა მშენებლობის ყველა ეტაპზე უნდა აწარმოოს ფარული სამუშაოების აქტები, ეტაპების მიღების ოქმები და ყველა სხვა ადგილობრივი კანემდებლობით მოთხოვნილი დოკუმენტი, სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით.
შემსრულებელი ვალდებულია მიაწოდოს დამკვეთს ყველა მასალის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი.
შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით შეასრულოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის შემოწმება და შესაბამისი დოკუმენტები წარუდგინოს დამკვეთს.

აუცილებელია შემსრულებლის ადგილზე ვიზიტი წინადადების მოცემამდე.

სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს:

დეტალურ კომერციულ წინადადებას, მოწოდებული ნიმუშის მიხედვით.
სამუშაოების შესრულების დეტალური გეგმაგრაფიკი

**გთხოვთ გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები:**

| | | |
|---|---|---|
| სამუშაოების შესრულების ადგილი | : | რუსთავის ცემენტის ქარხანა |
| სამუშაოების შესრულების ვადა | : | გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენთვის მისაღები უმოკლესი ვადა. |
| გადახდის პირობები | : | ეტაპობრივად, შუალედური მიღება ჩაბარების აქტების საფუძველზე |
| ტექნიკური მოთხოვნები | : | თანდართული დოკუმენტებისა და ადგილობრივი ტექნიკური მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად |

წინადადებების მიღების საბოლოო ვადაა 25.10.2023 – **18:00 საათი, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი წინადადება შემდეგ მისამართზე**:

Kartuli Cement LLC
21 ალ. ყაზბეგის გამზირი
0160 თბილისი, საქართველო

ყველა კორესპონდენცია წინადადების მოწოდების ჩათვლით უნდა მოხდეს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე.
Yours faithfully,

ვლადიმერ სურგულაძე

| | | |
|---|---|---|
| Phone | : | +995 595 81 05 05 |
| E-mail | : | Vladimer.surguladze@cement.ge |

ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით გთხოვთ დაუკავშირდეთ:

გიორგი მარჯანიძე

| | | |
|---|---|---|
| Phone | : | +995 577 51 57 77 |
| E-mail | : | Giorgi.marjanidze@cement.ge |

ირაკლი სადუნიშვილი

| | | |
|---|---|---|
| Phone | : | +995 577 50 97 05 |
| E-mail | : | Irakli.sadunishvili@cement.ge |

**თანდართული დოკუმენტები:**

- ჰაიდელბერგცემენტის შიდა პროექტირების სტანდარტები და კრიტერიუმები (DCS)
- მოთხოვნები შრომის უსაფრთხოებაზე
- ფუნდამენტის და სასწორის ნახაზები